დანართი #__

2024-2025 წლის საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსების განაწილებისა და ბონუსური სისტემით თანხების გაცემის წესის შესახებ

წინამდებარე წესი შემუშავებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების საფუძველზე, რომლის მიზანია მიღებული საბაზისო დაფინანსებისა და ბონუსური სისტემის კლუბებზე (გუნდებზე) განაწილების წესის განსაზღვრა.

მუხლი 1.

დაფინანსება
დიდი 10 და მისი ვერტიკალი

დიდი 10-ის დაფინანსება

1. 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე *(სულ 10 კლუბი (გუნდი))* თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება შეადგენს **811 000** (რვაას თერთმეტი ათასი) ლარს.
   - 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბისთვის (გუნდისთვის) საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყოფა მოხდება 2 ეტაპად შემდეგი წესით:
     - ✓ I ეტაპი - 411 000 ლარი არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი
     - ✓ II ეტაპი - 400 000 ლარი არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა

დიდი 10 -ის ვერტიკალის (ჭაბუკთა „ა“, „ბ“ ლიგა და ბავშვთა გუნდები U15; U13; U11; U9) დაფინანსება 2024-2025წ.

2. **დიდი 10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ჭაბუკთა „ა“ ლიგის** გუნდი და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა „ა“ ლიგის შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 20 000 (ოცი ათასი) ლარს ჭაბუკთა „ა“ ლიგის შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე ლიგაში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*
3. **დიდი 10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ჭაბუკთა „ბ“ ლიგის** გუნდი და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე ლიგაში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*
4. **დიდი 10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ბავშვთა გუნდი (U15)** და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ **ბავშვთა გუნდის (U15)** შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 5000 (ხუთი ათასი) ლარს **ბავშვთა გუნდის (U15)** შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე საფესტივალო ასაკში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*

5. **დიდი 10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ბავშვთა გუნდი (U13)** და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ **ბავშვთა გუნდის (U13)** შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 3000 (სამი ათასი) ლარს **ბავშვთა გუნდის (U13)** შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე საფესტივალო ასაკში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*
6. **დიდი 10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ბავშვთა გუნდი (U11)** და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ **ბავშვთა გუნდის (U11)** შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 3000 (სამი ათასი) ლარს **ბავშვთა გუნდის (U11)** შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე საფესტივალო ასაკში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*
7. **დიდი-10-ის** კლუბს, რომელსაც ყავს მინიმუმ 1 (ერთი) **ბავშვთა გუნდი (U9)** და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ **ბავშვთა გუნდის (U9)** შეჯიბრებაში, მიიღებს დამატებით დაფინანსებას 3000 (სამი ათასი) ლარს **ბავშვთა გუნდის (U9)** შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. *(2 ან მეტი გუნდის ყოლის შემთხვევაში ერთი და იგივე საფესტივალო ასაკში დაფინანსება გაიცემა მხოლოდ 1 (ერთი) გუნდზე).*
8. დიდი-10 ის ვერტიკალში მყოფი ჭაბუკთა ლიგის და ბავშვთა გუნდების (საფესტივალო) დაფინანსება განხორციელდება კლუბის მიერ სრკ-ს შესაბამის სამსახურში წარმოდგენილი საშეჯიბრო განაცხადის წარმოდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში

დიდი-10-ის ვერტიკალიში (ჭაბუკთა „ა“, „ბ“ ლიგა და ბავშვთა გუნდები U15; U13; U11; U9)

დაწესებული ფინანსური სანქციები

9. დიდი-10 ვერტიკალისთვის გამოყოფილი დაფინანსების აუცილებელი პირობაა ჭაბუკთა ლიგაში („ა“, „ბ“) და ფესტივალ(ებ)ში სრულფასოვანი მონაწილეობა მინიმუმ 1 (ერთი) გუნდით.
10. ჭაბუკთა ლიგაში („ა“, „ბ“) და ბავშვთა გუნდ(ებ)ში სრულფასოვანი მონაწილეობა ნიშნავს:
    - ✓ ჭაბუკთა ლიგების შემთხვევაში სრკ-ს მიერ ორგანიზებული კალენდარის მიხედვით შესაბამისი ლიგის დასრულება;
    - ✓ ბავშვთა გუნდ(ებ)ის შემთხვევაში სრკ-ს მიერ ჩატარებულ შესაბამის ასაკობრივ ფესტივალების მატჩების 50%-ში მონაწილეობა.
11. იმ შემთხვევაში თუ დიდი-10-ის ვერტიკალიში მყოფმა შესაბამისი ლიგის თუ ფესტივალის გუნდმა ჩაერთო სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში და შესაბამის ასაკობრივ ფესტივალებში და მიიღო დიდი-10-ის ვერტკალისთვის განკუთვნილი დაფინანსება, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ასრულებს ამ წესის მე-10 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, დიდი-10-ის კლუბი დაჯარიმდება ფულადად შემდეგი ოდენობით:
    - ✓ ჭაბუკთა „ა“ ლიგის შემთხვევაში ჯარიმა 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
    - ✓ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის შემთხვევაში ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;
    - ✓ ბავშვთა გუნდის (U15) შემთხვევაში 5000 (ხუთი ათასი) ლარი;
    - ✓ ბავშვთა გუნდის (U13) შემთხვევაში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;
    - ✓ ბავშვთა გუნდის (U11) შემთხვევაში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;
    - ✓ ბავშვთა გუნდის (U9) შემთხვევაში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი.

დაფინანსება
ესპუართა ლიგა

12. 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე ესპუართა ლიგაში მონაწილე *(სულ 10 კლუბი (გუნდი))* თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება შეადგენს **40 000** (ორმოცი ათასი) ლარს.
    - 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე ესპუართა ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბისთვის (გუნდისთვის) საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყოფა მოხდება 2 ეტაპად შემდეგი წესით:
        - ✓ I ეტაპი - 20 000 ლარი არაუგვიანეს 2024 წლის 30 სექტემბრისა
        - ✓ II ეტაპი - 20 000 ლარი არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა

დაფინანსება
I ლიგა

13. 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე I ლიგაში მონაწილე *(სულ 10 კლუბი (გუნდი))* თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება შეადგენს **300 000** (სამასი ათასი) ლარს.
    - 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე I ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბისთვის (გუნდისთვის) საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყოფა მოხდება 2 ეტაპად შემდეგი წესით:
        - ✓ I ეტაპი - 200 000 ლარი არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი
        - ✓ II ეტაპი - 100 000 ლარი არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა

დაფინანსება
II ლიგა

14. 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე რეგინალურ ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება შეადგენს **20 000** (ოცი ათასი) ლარს.
    - 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონზე რეგიონალურ ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბისთვის (გუნდისთვის) საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყოფა მოხდება 2 ეტაპად შემდეგი წესით:
        - ✓ I ეტაპი - 10 000 ლარი არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი
        - ✓ II ეტაპი - 10 000 ლარი არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა

ბონუსური სისტემა (ჭაბუკთა და ბავშვთა გუნდებისთვის)
მათი გაცემის წესი და ოდენობა

15. ბონუსური სისტემა წარმოადგენს წახალისების ფორმას, რომელიც გუნდებს მისცემს მოტივაციას იყოლიოს/გაწვრთნას უფრო მეტი ჭაბუკთა და ბავშვთა გუნდები.

16. ბუნუსური სისტემით გათვალისწინებული თანხის მიმღები შესაძლოა გახდეს ნებისმიერ ჭაბუკთა და ბავშვთა კლუბი (გუნდი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს
17. ბონუსები გაიცემა მხოლოდ ჭაბუკთა და ბავშვთა გუნდებზე შემდეგი წესითა და ოდენობით:

ჭაბუკთა ლიგები („ა“ და „ბ“)

- ✓ 2024-2025წ. ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგის გუნდ(ებ)ზე ბონუსი გაიცემა იმ შემთხვევაში თუ გუნდმა სრკ-ს მიერ გაწერილი საშეჯიბრო კალენდარის მიხედვით ყველა მატჩში მიიღო მონაწილოება.
- ✓ მთელი შეჯიბრებ(ებ)ის მიმდინარეობისას არაუმეტეს 3 (სამი) მატჩზე გამოცხადდა არანაკლებ 12 (თორმეტი) მოთამაშით.
- ✓ ჭაბუკთა „ა“ ლიგის ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს.
- ✓ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.
- ✓ ბონუსის გაცემა ჭაბუკთა ლიგებზე განხორციელდება 2024-2025 წლის შესაბამისი ლიგის საშეჯიბრო სეზონის დასრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მაგალითისთვის: *თუ კლუბს ყავს 3 (სამი) „ა“ ლიგის გუნდი და აკმაყოფილებს ბონუსური სისტემის გაცემის წესს მიიღებს ბონუსს - 3 (სამი) X 20 000 (ოცი ათასი) = 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ოდენობით.*

ბავშვთა გუნდები (ფესტივალები)

- ✓ 2024-2025 წ. ბავშვთა გუნდებზე ბონუსი გაიცემა იმ შემთხვევაში თუ სრკ-ს მიერ ჩატარებულ შესაბამის ასაკობრივ ფესტივალების მატჩების 70%-ში მაინც მიიღო მონაწილეობა.
- ✓ ბავშვთა გუნდის (U15) ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.
- ✓ ბავშვთა გუნდის (U13) ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.
- ✓ ბავშვთა გუნდის (U11) ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.
- ✓ ბავშვთა გუნდის (U9) ბონუსი თოთოეულ გუნდზე შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.
- ✓ ბონუსის გაცემა ბავშვთა გუნდებზე განხორციელდება 2024-2025 წლის ფესტივალის დასრულებიდან ------ თვის ვადაში.

მაგალითისთვის: *თუ კლუბს ყავს 3 (სამი) ბავშვთა გუნდი და აკმაყოფილებს ბონუსური სისტემის გაცემის წესს მიიღებს ბონუსს - 1 (ერთი) X 5 000 (ხუთი ათასი) = 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.*

18. წინამდებარე წესით გათვალისწინებული დაფინანსებისა ბონუსური სისტემით გათვალისწინებული თანხების რაგბის კლუბებზე (გუნდზე) განაწილებას უზრუნველყოფს

საქართველოს რაგბის კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების საფუძველზე.

19. საბაზისო დაფინანსების და ბონუსური სისტემის თანხების გაცემის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რაგბის კავშირისა და შესაბამის რაგბის კლუბს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულება.

მუხლი 2.

1. რაგბის კლუბების მიერ საბაზისო დაფინანსებისა და ბონოსური სისტემით გაცემული თანხების ფარგლებში დასაშვებ ხარჯებს წარმოადგენს:
   ა) მოთამაშეთა ბარათების ღირებულება;
   ბ) სამედიცინო და სადაზღვევო ხარჯები;
   გ) საქართველოს რაგბის კავშირის საწევრო გადასახადი;
   დ) საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი საჯარიმო გადასახადები.
   ე) სტადიონის იჯარის ღირებულება;
   ვ) სამივლინებო ხარჯები;
   ზ) ტრანსპორტის ხარჯები თამაშებზე და შეკრებებზე;
   თ) ეკიპირების ხარჯები;
   ი) შეკრებების ხარჯები (სასტუმრო, კვება და ა.შ.);
   კ) კლუბის (გუნდის) თანამშრომლების ხელფასი/პრემია (მორაგბეები, მწვრთნელები, მენეჯერი, სამედიცინო პერსონალი, ბუღალტერი და სხვა.
   ლ) კლუბის (გუნდის) სამეურნეო და საოფისე ხარჯები.
   მ) კლუბის (გუნდის) სხვა ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იქნება გუნდის მონაწილეობასთან სხვადასხვა ტურნირებში.
   ნ) კლუბების (გუნდების) სატრანსფერო თანხა (თანხები), ასევე კლუბებისთვის (გუნდებისთვის) აუცილებელი სხვა ხარჯები (ვიდეო-აუდიო ტექნიკა, ოფისის ინვენტარით აღჭურვა და ა.შ.)"
   ო) რაგბის კავშირის დებულება საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დანართი #3-ით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (აღნიშნული პუნქტი ეხება მხოლოდ დიდი-10-ს კლუბებს (გუნდებს)).

მუხლი 3.

1. კლუბ(ებ)ის (გუნდ(ებ)ის) მიმართ საბაზისო დაფინანსებისა და ბონუსური სისტემით გაცემული თანხების გამოყენების მიზნობრიობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რაგბის კავშირი.
2. დიდი-10-ის და I ლიგის კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა წარმოადგინონ (2024-2025წ.) საბაზისო დაფინანსების ანგარიშგების აუდიტორული დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიის მიერ (იხილეთ აუდიტორული კომპანიების ნუსხა https://saras.gov.ge).

3. კავშირი იტოვებს უფლებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს რაგბის კავშირის დაფინანსების შეჩერების, შეცვლის ან/და შეწყვეტის შემთხვევაში ცალმხრიდავ შეაჩეროს, შეცვალოს ან/და შეწყვიტოს მხარეთა შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულება.